



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

30 აგვისტო 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №254

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ცოფის დაავადების მხრივ დაწესებული შეზღუდვების მოხსნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 55-ე მუხლის შესაბამისად:

#### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოს მიმდინარე წლის 29 აგვისტოს №109 მომართვის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მოიხსნას ცოფის დაავადების მხრივ დაწესებული შეზღუდვები.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალურ სამმართველოს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე